| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბეთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 15 აპრილი

რაც რამა ვსთქვით ღვინის კეთების თაობაზედ, თუ ყოველს იმას გავიხსენებთ და გონების თვალწინ წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ღვინის კეთება ორ გვარია: ერთი ყალბის ღვინის კეთება და მეორე ბუნებურისა. ბუნებურის ღვინის კეთება, იგი ხელი თუ ოსტატობაა, რომელსაც საგნადა აქვს მარტო წმინდა, შეურევნელი ყურძნის წვენი აქციოს ღვინოდ და ეს ქცევა დაამყაროს მარტო ყურძნის წვენის ბუნებურ თვისებაზედ. ამ გვარს ღვინის მკეთებელს მარტო პირ-და-პირი მსმელი ღვინისა ჰყავს მუშტრად სახეში და პირ-და-პირი მსმელი ყოველთვის წმინდა ყურძნის წვენის ღვინოს ირჩევს, ვიდრე განგებ წამლებით შეზავებულს და გაკეთებულს, რაც უნდა ეს უკანასკნელი თვალისა და გემოსათვის უფრო სამაცდურო იყოს პირველზედ. არა გვგონია ქვეყანაზედ მოიპოვებოდეს იმისთანა მსმელი ღვინისა, რომელმაც, რაკი დარწმუნებული იქმნება, რომ ეს ღვინო წმინდა ყურძნის წვენისაა და მეორე განგებ წამლებით შეზავებული, მართალს ღვინოს არ დაავლოს ხელი, რაც უნდა ყალბს ღვინოზედ დაბალი იყოს.

ჩვენა ვნახეთ, რომ მართალის ღვინის კეთებისათვის ჩვენშიაც იგივე ცოდნაა, რაც ევროპაში და თუ ამაში ცოტა რამ მეტ-ნაკლებობაა, იმოდენად ღირს-შესანიშნავი არა არის-რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით ან ერთი აქოს, ან მეორე დაიწუნოს. თქმა არ უნდა, რომ დიდი ბაზარი ევროპისა, საცა მართალს ევროპულს ღვინოებს დიდი ფასი აქვთ, დიდის ღონეს და შეძლებას აძლევს იქაურს მკეთებელს მართალის ღვინისას უფრო მომეტებული შრომა და ხარჯი გასწიოს, ღვინის კეთებას უფრო ბევრი ფული მოახმაროს, უფრო უკეთესი იარაღი და ჭურჭელი ახმაროს, გარემოება უფრო სახერხული მოუწყოს, რომ მართალს ღვინოს მთელი თავისი ბუნებური თვისება და ღირსება შეარჩინოს როგორც სიკეთისა, ისეც გამძლეობისათვის.

თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ წინ არიან, ესე იგი, თუ ამ მხრით ევროპიელნი ჩვენზედ უკეთეს ღონესა, ხერხსა და იარაღსა ჰხმარობენ—ეგ მარტო საეკონომიო მიზეზით აიხსნება: იქ დიდს ხარჯს კეთებისას დიდი ფასი ჰფარავს და მოგებასაც აძლევს, ჩვენში კი ჩვენებური ღვინო, მარტო ჩვენს შინაურს ვიწროდ შემოფარგლულს ბაზარში მომწყვდეული, დიდს ხარჯს კეთებისას ვერ აიტანს და ზარალის მეტი არა გამოვა-რა. ამას უნდა მიეწეროს ზოგიერთი ჩვენი უხერხულობა ღვინის კეთებაში და არა იმას, ვითომ არ ვიცოდეთ, რა გზით შესაძლოა ღვინის კარგად დაყენება და კეთება. ეს ერთი. მეორე მიზეზი, ისევ საეკონომიო თვისებისა, ის არის, რომ ჩვენში ღვინო საყოველთაო სახმარი სასმელია: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი ჩვეულია ღვინის სმასა. ამის გამო აქ ჩვენში ღვინის კეთების საეკონომიო ანგარიში უფრო მრავალთათვის უნდა იყოს დაჭერილი, ვიდრე ევროპაში, საცა ღვინოს, ნამეტნავად მართალს, მარტო მდიდარი კაცი თუ სვამს და ეღირსება. რაკი მუშტარი ღვინისა ერის სიმრავლეა, მაშასადამე არა-მდიდარი ხალხი, ღვინო, თუ იეფი არ არის, უნდა ჰშიშობდეს, რომ გაუსყიდველი დარჩება. რაც უნდა დიდი ვაჭარი იყოს ღვინისა, ძნელად იქმნება, რომ ათს ურემს იეფის ფასის ღვინოსთან ერთი ურემი ძვირფასი თავი ღვინო გაასაღოს. ჩვენს ბაზარში ძვირფასს თავს ღვინოს მდიდარი კაციც ძლივა ჰყავს მუშტრადა და ამისთანა მდიდარი ბევრი არ არის და ისიც რაც არის, ძვირფასს ღვინოს იშვიათად თუ ჰხმარობს იშვიათს შემთხვევაში, როცა დიდი და გამოსაჩენი წვეულება აქვს. ამის გამო ჩვენებურმა ღვინის კეთებამ მარტო იმისთანა ღონეს ჩაჰკიდა ხელი მართალის ღვინის შექმნისათვის, რომელიც, თუმცა ხანდისხან უხერხულია, მაგრამ იეფია და ძვირად არ უჯდება ღვინის მკეთებელსა. ეგ იეფობა ხარჯისა ნებას აძლევს ღვინის მკეთებელს იეფად ჰყიდოს ღვინო, იმიტომ-რომ ამ შემთხვევაში მარტო მუშტრის სიმრავლეა თავდები, რომ ღვინო გაუსყიდველი არ დარჩება. მთელს ევროპაში ვერც ერთს ადგილს ვერ გვიჩვენებთ, რომ წმინდა ყურძნის წვენის ღვინო, შეურევნელი და სხვა-და-სხვა წამლებით არ შედგენილი, ისე იეფი იყოს, როგორც ჩვენში.

ეხლა ჩვენს ღვინოს სხვა ბაზარიც ეხსნება. ეგ ბაზარი რუსეთია. ჩვენი გულითადი რწმენა ეს არის, რომ ჩვენი ღვინოები ამ დიდს ბაზარში ფეხს მოიკიდებენ, თუ ჩვენი ძველებური პატიოსანი საგანი ღვინის კეთებისა არ შევცვალეთ. ამ ბაზარმა გული უნდა დააჯეროს, რომ ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა; რომ ჩვენს ღვინოში არა არის-რა, გარდა ყურძნის წვენისა. ჩვენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე ამის მეტი სხვა საგანი არა ჰქონია. თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულს ყალბს ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია, იმიტომ-რომ არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდურო იყოს. ჩვენს ღვინოებს სხვა იმედი არ უნდა ჰქონდეს გაუძლოს ევროპულ ღვინოების ცილობასა: ყალბის ღვინის კეთებაში ჩვენ ევროპას ვერ დავეწევით, გასწრობას ვიღა იტყვის. მაშასადამე ერთი-და დაგვრჩენია: მართლის ღვინის კეთებას ნუ ვუღალატებთ; ეს რაღაც შაპტალიზაციები, გალლიზაციები და სხვა „ციები“ შორს ჩვენგან და ჩვენის ქვეყნის გარედ, როგორც შიგნითაც, მარტო მართალი ღვინოები გავიტანოთ ბაზარში. ევროპამ რომ ღვინის კეთებაში სიყალბე აღარ იხმაროს და მარტო მართალი ღვინო აკეთოს, ეს მისი მართალი ღვინო მეათე ნაწილსაც ვერ გასწვდება, მაშასადამე, ჩვენს მართალს ღვინოებს მაზანდა დიდი ექმნება და მოცილეც მეტად უღონო ეყოლება მართალის ღვინის უქონლობის გამო.

რადგანაც დღეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ფიქრადა აქვს, ჩვენებურის ღვინის კეთებას უკეთესი და უფრო სახეირო გზა მისცეს და წარმატებაში შეიყვანოს,—ამას შორს წასვლა არ უნდა. ამისათვის, ჩვენის ფიქრით, მარტო ორი რამ არის საჭირო: 1) აზრი და საგანი ჩვენებურის ღვინის კეთებისა არას გზით არ შეიცვალოს, ესე იგი, ბუნებურის ღვინის კეთებას არავითარი სიყალბე არ შეეპაროს და რადგანაც ამ აზრისა და საგნის განსახორციელებ-

# ფელეტონი

## სამეცნიერო ამბები

ამაოდ-მორწმუნება. — ჩვეულება რჯულთ-უმტკიცესია. — ჩვეულება ხშირად თუ ბორკილია, ხშირად თავის-დასაცველი ფარ-ხმალიც არის.— დღევანდელი ამაოდ-მორწმუნება უწინ მართლ-მორწმუნება იყო.—ცხვირის დაცემინება.—რა აზრი აქვს სიტყვას: „ღვთის წყალობა!“—უწინ რა აზრი ჰქონდა?—გარეულს ხალხს დღესაც რა სწამს?—პირის დამთქნარება.— ავი და კეთილი სულები.

მდაბიო გაუნათლებელ ხალხს ბევრი ისეთი რამ სჯერა, სწამს, რასაც დღეს არავითარი მნიშვნელობა, აზრი აღარა აქვს. ჩვენ, ე. ი. განათლებულნი, ნასწავლნი დიდ ცოდვად ვუთვლით ხალხსა, სასტიკად ვკიცხავთ, ამაოდ-მორწმუნებას ვუწოდებთ ხალხის ამ გვარ რწმენასა. ამასთან ის კი გვავიწყდება, რომ ამით თითონ ჩვენს თავსაცა ვკიცხავთ. განა ჩვენ, განათლებულებს, კი არა გვწამს ბევრი ისეთი რამ, რაც დღეს სრულიად უაზროა და უმნიშვნელო? განა ბევრი ჩვენგანი დღესაც არ ამბობს ხოლმე: ერთი ცხვირი მომივიდა—ცუდი ნიშანია, ორი კარგის მომასწავებელიაო; მარცხენა თვალი ამითამაშდა, ცუდს ამბავს გაიგებ, უსიამოვნობა რამე მეწვევა, მარჯვენა თვალი—კარგს, სასიამოვნო ამბავს შევიტყობ; მარცხენა ხელის გული მექავება—ფულს გამომართმევენ, მარჯვენა ხელის გული—ფულს მომცემენო?

რა არის ყველა ეს, თუ არ ამაოდ-მორწმუნება? რა კავშირი უნდა ჰქონდეს ხელის გულის ქავილსა და ფულის გაცემასა, ან მიღებას? მე რომ უბედურება ან ბედნიერება მომელოდეს, ცხვირის დაცემინება აქ რა შუაშია, ცხვირს განა იმოდენა გულთმისნობა აქვს, რომ ჩემი თავ-გარდასავალი წინათვე შეიტყოს და მიწინასწარ-მეტყველოს? სხვას დავცინით, უმეცრებ-ს ვწამებთ და ჩვენ თითონკი ამასვე ვიმეორებთ. რათა? განა მართლა გვრწამს ყველა ეს? არა, რწმენით კი ბევრს არა გვრწამს, მაგრამ ვამბობთ კი, ვამბობთ იმიტომ, რომ ეს რწმენა ძველის-ძველადგანა გვაქვს გარდმოცემული, ნაანდერძევი ჩვენის წინაპრებისაგან. დღეს ჩვენ ეს რწმენა ჩვეულებად გარდაგვექცევია და ხომ მოგეხსენებათ, — ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო. ჩვეულება მარტო იმით რომ ჩვეულებაა, გასაკიცხი არ არის, არამედ გასარჩევია. ჩვეულება, მართალია, ხშირად ბორკილია, რომელიც ხელ-ფეხს უკრავს კაცობრიობას და უშლის წინ-მსვლელობას, მაგრამ იგივე ჩვეულება ხშირადაც თავის დასაცველი ფარ-ხმალია, და გარდა ამისა ადამიანს ანიშნებს, საით და როგორ უნდა მიმართოს საქმე.

მით უფრო კიდევ ყურადღების ღირსია და არა მარტო გასაკიცხი ძველის დროიდგან დარჩენილი ჩვეულება, რომ ის, რასაც დღეს ჩვენ ამაოდ-მორწმუნეობას ვეძახით, ძველს დროში მართლ-მორწმუნეობა იყო და არა ამაოდ-მორწმუნეობა.

ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ბევრი მორწმუნეობა ძველის დროისა, რომელიც დღესაც დარჩომილა, მავნებელი არ იყოს. არა, იყო და დღესაც არის, მაგრამ განა ეს დანაშაულობად ჩაეთვლება იმ დროის ხალხსა? რა ექმნა, რომ არც ცოდნა, არც გამოცდილება ნებას არ აძლევდა, სხვა გვარად ეცნა ქვეყანა, ბუნება? არ-ცოდნა, უმეცრება, უღონობა ჯანისა და ჭკუისა დანაშაულობად არავის ჩაეთვლება. უგუნურმა ყმაწვილმა რომ ცეცხლს ხელი დასტაცოს, პირში იკრას და ხელიც და პირიც დაიწვას,—განა დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს! არა, დრო, გამოცდილება, სწავლა გააცნობს მხოლოდ ყმაწვილსა, რა არის ცეცხლი და როგორ უნდა მოექცეს. განა ესეთივე ყმაწვილი არ იყო კაცობრიობა პირველს ხანებში? განა იმისი ბევრი რწმენაც ყმაწვილური და მავნებელიც არ იყო. თუმცა მავნებელიც იყო, მაგრამ გულ-წრფელად კი სწამდა და იმის რწმენას აზრიც ჰქონდა და მნიშვნელობაცა.

* * *

საკვირველია, ადამიანის ბუნება! ის, რაც ერთხელ შეუძენია კაცობრიობას, დღესაც არ დაუვიწყნია და მტკიცედ ინახავს, იცავს. იმასაც, რასაც თავის დროს, ძველის-ძველს წარსულში თავისი აზრი და მნიშვნელობა ჰქონია, დღესაც ეჭიდება, ხელიდგან არ უშვებს, თუმცა აღარც იმისი აზრი, აღარც მნიშვნელობა აღარ ესმის. არა სწამს, თითონვე დაიც-ნება, ამაოდ-მორწმუნეობას ეძახის და ვერ დაუვიწყნია-კი, წამ-და-უწუმ პირზე-კი აკერია.

აი ავიღოთ, მაგალითად, ცხვირის დაცემინება. თუ საზოგადოებაში ხართ და ცხვირი დააცემინეთ, მაშინვე მოგაძახებენ „ღვთის წყალობა!“, „სიცოცხლე!“ პატარა ყმაწვილს ეტყვიან: „გაზდა!“, „გახარება!“-ო.

რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ სიტყვებს? სად ცხვირის-დაცემინება; სად «სიცოცხლე», „გაზდა“, „გახარება!“ ყოველ დღე ვიმეორებთ ამ სიტყვებსა და ჩვენ თითონვე გვეცინება, გვეცინება იმიტომ, რომ გაუგებარია ჩვენთვის, რა აზრი, სათავე აქვს ამ სიტყვებს.

არა ერთ მეცნიერს საშუალო საუკუნოებში თავი უმტვრევია, რომ შეეტყო ამ სიტყვების მნიშვნელობა და ზოგი რას ამბობდა, ზოგი რასა.

ერთი ამბობდა: როდესაც ბერძნების პრომეთეოსმა, ანუ, ჩვენებურად, ამირანმა პირველად ადამიანი შეჰქმნა, ადამიანმა სიცოცხლის ნიშანი იმით იჩინა, რომ ცხვირი დააცემინაო. და აი მას შემდეგ, როცა ადამიანს ცხვირს აცემინებს, პრომეთეოსი ლოცულობს, რომ იმის ხელთქმნილს ადამიანს სიცოცხლე არ წაერთვას, და ჩვენც ამიტომ ცხვირის ცემინებაზე „დღეგრძელობას“ ვატანთო.

მეორე კიდევ ამბობს: მამათ-მთავარი იაკობი ლოცულობს, რომ ადამიანი ცხვირის დაცემინებაზე არ მოკვდესო, რადგან, ვითომ, უწინ ისე იყოვო, რომ ადამიანს ცხვირს დააცემინებდა თუ არა, მაშინვე მოკვდებოდა კიდეცაო.

მესამე კიდევ გვარწმუნებს: პაპი გრიგოლი ლოცულობს, რომ ადამიანს თავიდამ აშორდეს ჟამი და ჭირიო. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ამ პაპის დროს საშინელი ჭირი ყოფილა გავრცელებული, რომელიც იმითი დაიწყებოდა ხოლმე, რომ კაცი ცხვირის ცემინებას მოაყოლებდაო.

თუ ცხვირის დაცემინებაზე ვინმე სიკვდილს გადურჩებოდა, ამბობდნენ, ეს ღვთის წყალობააო. აი ვითომ აქედგან წარმოსდგა ის ჩვეულებაც, რომ ცხვირის დაცემინებაზე უთუოდ „ღვთის წყალობა“-ს დააყოლებდნენ ხოლმე.

ეხლავე დავინახავთ, რომ ვერც

ლად ბევრი კარგი სხვა-და-სხვა ღონე და სახსარია ჩვენში თუ გარედ, ამ ღონისა და სახსრის ცოდნისა და ხმარებისათვის სამი სკოლა მაინც გაიმართოს: ერთი კახეთში, მეორე ქართლში და მესამე იმერეთში; 2) განონად დაიდვას, რომ თუ ღვინოში გარდა ყურძნის წვენისა რაიმეა გარეული ან გასაბევრებლად, ან დასაწმენდად, ან გასამაგრებლად, ან საფერავად, ან გასამძლეოდ ღვინის გამსყიდავი მედუქნე მოვალე იყოს ღვინის ჭურჭელზედ—ბოთლი იქნება, თუ ბოჭკა—დააწეროს, რომ ეს ღვინო ამა-და-ამ ნაწევარით შეზავებულიაო. ეს კანონი გერმანიაში მოქმედობს და რუსეთშიაც მიღებული რომ იყოს, დიდს შემწეობას მისცემს ჩვენებურს ღვინოსა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, მარტო ხელთ-სამძღვანი აზრი აღვნიშნეთ, იგი აზრი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, საფუძვლად უნდა დაედოს კანონს ღვინის თაობაზედ, თუ ჰსურთ, რომ შინაურმა ღვინომ გზა გაიკაფოს რუსეთის ბაზრისაკენ და იგი აუარებელი ფული შინ რუსეთშივე დაჰრჩეს, რომელიც ევროპულს ყალბს და მაწყინარს ღვინოებზედ ეხარჯება დღესა და ამასთან უწყინარი ღვინოც სვას ხალხმა. ამ ხელ-სამძღვანო აზრს ბევრი სხვა საჭიროებაც მოსდევს, რომ სურვილი კანონისა უქმად არ დარჩეს. ამ კანონების ვრცლად შემუშავება ჩვენ აზრად არა გვქონია და ამიტომაც ამით ვათავებთ ჩვენს გძელს ლაპარაკსა ღვინის თაობაზედა.

## ახალი ამბავი

*** ამ ორის კვირის შემდეგ დაიწყობა სეზონი საადგილ-მამულო ბანკებისა და სხვა-და-სხვა სამადლო საზოგადოებათა კრებისა. 2-ს მაისს, როგორც გამოცხადებულია ჩვენს გაზეთში, ტფილისის ბანკის წევრთა კრებაა დანიშნული; 1-ს მაისს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამო შესდგება წლიური კრება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების წევრთა. ამ კრებას მოჰყვება საერთო კრება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა, დრამატიულის საზოგადოებისა, და სხვ.

*** ქართულის წიგნების მაღაზიის პატრონს ბ-ნს გრ. ჩარკვიანს, რომელმაც დაიწყო ამას წინად ბეჭდვა «ვეფხვის ტყაოსნისა», უკვე დაუსრულებია ეს საქმე და ამ მოკლე ხანში ეს წიგნი დარიგდება მაღაზიებში გასასყიდად.

*** იბეჭდება ცალკე წიგნად ჩვენს გაზეთში ფელეტონებად დაბეჭდილი „ძმური სიტყვა“, თხზ. დ. მაჩხანელისა.

*** ჩვენ ენახეთ ერთი პატარა ახალი წიგნი, რომელიც ქუთაისში დაუბეჭდიათ ამ დღეებში. ამ წიგნს სათაურად აწერია: „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“ ქართულის სიტყვიერების მოყვარეთაგან შედგენილი და გამოცემული. ეს წიგნი სულ 22 გვერდია. ათი გვერდი უჭირავს წინასიტყვაობას, რომელიც ბ-ნს ს. ხუნდაძეს დაუწერია, და 12 გვერდი—თვით გრამატიკულს ტერმინებს. ფასი წიგნისა ორი შაურია. არ ვიცით, რა მიზეზია, რომ ეს პატარა წიგნი ჩვენს რედაქციის არ მოსვლია დამბეჭდველისაგან.

*** ქუთაისიდგან გვწერენ, რომ კვირა-ცხოვლობის წინა დღეს გაჰმართა აქ კონცერტი ბ-ნ აღნიაშვილის ქართულმა ხორომაო. საზოგადოება ამ კონცერტზედ, სამწუხაროდ, ძალიან ნაკლებად დაესწრო და თეატრის დარბაზი თითქმის ცარიელი იყოვო. ვინც-კი დაესწრო, იმათ დიდად ისიამოვნეს. ტაშის კვრასა და «ბრავო»-ს ძახილს სამზღვარი აღარა ჰქონდა. უფრო მოეწონათ ქუთათურებს შემდეგი სიმღერები: ფინური მარში, ურმული და ზოგიერთი კიდევ სხვა სიმღერაო.

*** იქიდამვე გვწერენ: აღდგომის კვირა მხიარულადა და მშვიდობიანად გავატარეთ, მაგრამ ერთმა სამწუხარო შემთხვევამ აალღვა ჩვენი ბედნიერი და მყუდრო ცხოვრებაო. ერთს აქაურს სასტუმროში ღვინის სმის დროს ჩხუბი მოუვიდათ რამდენსამე ყმაწვილს-კაცს და ერთმანერთი ხანჯლებით დასჩრესო. ეს ყმაწვილი კაცები იყვნენ ე—ნი და ორნი ძმანი პ. და ნ. ა—ძენი. ამბობენ, რომ პ. ყველაზედ უფრო მძიმედ არის დაჭრილიო.

*** აღდგომის ორშაბათს გამოსათხოვებელი სადილი გაუმართეს ქუთაისის ძველს გუბერნატორს სმეკალოვს სხვა-და-სხვა მოხელეებმაო. სამშაბათს კიდევ ქუთათურმა ვაჭრებმა გაუმართეს სადილი გუბერნატორს სამეფო სახლშიო.

*** სოფ. წყნეთიდგან გვატყობინებენ, რომ 3-ს აპრილს აქაურმა მწყემსებმა იპოვნეს მინდორში ვიღაცა უცხო 14—15 წლის ქალი; მწყემსებმა საღამოზედ მიიყვანეს ეს ქალი სოფელში და მამასახლისს ჩააბარეს. როცა გამოკითხვა დაუწყეს, აღმოჩნდა, რომ ის ყოფილა მთიულის ქალი, გორის მაზრიდამ, სოფელ ზეუბნიდამ, რომელიც ნიჩბისის საზოგადოებას ეკუთვნის. ამ ქალის სახელია თამარ ბეწინტურას ასული ბულალაური. ეს ქალი ყოფილა ობოლი და უპატრონო, შემნახველი არავინ ჰყოლია. ამ სამის კვირის წინად თავის ბიძას ჩამოუყვანია ტფილისში და ვიღაცა რუსთან დაუყენებია. საბრალო ქალს რუსული არა სცოდნია და იმ რუსს კიდევ ქართული. ამ წვალებით სამი კვირა გაუტარებია იმ რუსის სახლში, შემდეგ ისე მობეზრებულა, რომ ამდგარა და გაპარულა. წასულა წყნეთისკენ იმ აზრით, რომ მგზავრს ვისმე შევხვდები და ჩემს სოფელში გავყვებიო, მაგრამ ვერავის შეხვედრია და იმ მწყემსებს წასწყდომია. მამასახლისმა მეორე დღესვე მაზრის უფროსს წარუდგინა ეს ქალი. მაზრის უფროსმა შესაფერი განკარგულება მოახდინა და ქალი ისევ თავის ნათესავებს დაუბრუნა.

*** ქობულეთიდამა და გურიიდამ მოგვივიდა ამბავი შემდეგის საზიზღარის მკვლელობისა: წითელ პარასკევს ღამით, გვწერენ კორრესპონდენტები, ერთი კაცი მოჰკლეს ქობულეთის და გურიის სამზღვარზე, მდინარე ჩოლოქის ახლოს. ამ კაცის სიკვდილმა ქობულეთის ყველა სოფლელები შეაძრწუნა. ეს კაცი იყო ერთი გურული ხელოსანი, ურმების მკეთებელი, რომელსაც მთელის კინტრიშის მაზრის სოფლები იცნობდნენ. გვარი ამ კაცისა ჩიტაშვილი იყო. აი საქმე როგორ მომხდარა: დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირას საწყალმა ჩიტაშვილმა შეაგროვა თურმე ექვსი თუ შვიდი თუმანი და წითელ პარასკევს ერთის ამხანაგით, არონიშით, გაემგზავრა გურიაში, რომ აღდგომა თავის ცოლ-შვილში, თავის ოჯახში გაეტარებინა. ამავე ღამეს მოჰკლეს გზაზე უბედური და ამოაცალეს ფული ჯიბიდგან. ოთხის დღის შემდეგ მკვდარი ენახა ტყეში ერთს სოფლელს კაცს, რომელმაც მაშინათვე ქობულეთის პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ ფიცხლავ გაგზავნა ყარაული მიცვალებულის დასაცველად. ყარაულმა მისვლისათანავე დაინახა, რომ მიცვალებულს დასცქეროდნენ ორი გურული, ერთი მათგანი ის არონიში იყო, რომელთანაც ერთად მიდიოდა თურმე უბედური გურული. პოლიციის მოხელემ ორივე გურული პოლიციაში წარადგინა. მოახდინეს გამოძიება. შემდეგ მოიწვიეს ბათუმიდგან გამომძიებელი. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ის უბედური კაცი, რომელსაც ასეთი შავი დღე გაუთენდა სააღდგომოდ, მოუკლავს ფულის გულისათვის იმ გურულს არონიშს. მკვლელი გარდაეცა მართლმსაჯულებას.

*** ქობულეთიდამვე გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი გულ-აღა კაიკაციშვილი: ბათუმის სკოლის მასწავლებელმა მ. ი. ნათაძემ მიჰმართა ჩვენებურს საზოგადოებას და აუხსნა, რომ თუ ამა-და-ამ პირობით შეადგენთ განჩინებასა, „წერა-კითხვის საზოგადოება“ სკოლას დაარსებს თქვენთვისაო. ხალხმა მოილაპარაკა და ამ ერთის კვირის განმავლობაში მისცემენ ნათაძეს პასუხს. ინებოს უფალმა, რომ ქობულეთსაც ეღირსოს სკოლა.

*** იგივე კორრესპონდენტი გვწერს: ამ დღეებში მთელის კინტრიშის საზოგადოება ბათუმში იყო თავ-მოყრილი: ბათუმის მაზრა ისტუმრებდა ძველს გუბერნატორს. ხალხი წარუდგა ახალს გუბერნატორს.

### სია შემწირველთა

წიფასა და ცონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლ-შვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | | |
|---|---|---|
| იოსებ სიმონის ძე ჭიჭინაძისაგან | 1 | მან. |
| ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძისაგან | 1 | „ |
| ილია იოსების ძე ჭიჭინაძისაგან | 1 | „ |
| სულ | 3 | მან. |
| წინად იყო | 73—20 | |
| სულ | 76—20 | |

### ტფილისის ქალაქის საბჭო

(13 აპრილის კრება)

თავდა-პირველად კრებამ მოისმინა ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ამ ჟამად ქალაქში რამდენიმე ლუდხანაა გამართული, სადაც

---

ერთი, ვერც მეორე და ვერც მესამე მიზეზი ამ ჩვეულებას ვერ აგვიხსნის. ვერ აგვიხსნის იმიტომ, რომ ეს ჩვეულება ძრიელ ვრცლად არის მოფენილი კაცობრიობაში. დღესაც ეს ჩვეულება გავრცელებულია აფრიკის, აზიის და ამერიკის გარეულ ხალხთა შორის, დღესაც მტკიცედა და გულ-წრფელადა სწამთ იმ ხალხთა, რომელთაც არც ბერძნების პრომეთეოსი სცოდნიათ და არც მამათ-მთავარი იაკობი, და პაპი გრიგოლი ხომ გაგონებითაც არ გაუგონიათ.

***

მაგალითად, სამხრეთ-აფრიკაში სცხოვრობს ერთი ხალხი, რომელსაც ზულუს ეძახიან. როცა ზულუ ცხვირს აცემინებს, ამბობს: «ღვთის წყალობა მეწვიაო; მამა-პაპათა სული ეხლა ჩემთან არის; უნდა მალე ვაქო და ვადიდო, იმიტომ-რომ ის მაცემინებს ცხვირსაო». ზულუ აქებს და ადიდებს წინაპართა სულსა და თანა სთხოვს: „საქონელი გამიმრავლე, ცოლ-შვილი გამიბედნიერე და ნურც სხვა სიკეთეს მომაკლებო“.

ავადმყოფს ზულუს ნაცნობნი და ნათესავები ჰკითხავენ: ცხვირს გაცემინებს, თუ არაო? თუ არ აცემინებს, ეს იმის ნიშანია, რომ საქმე ცუდად არის, ავადმყოფი ვერ მორჩება.

ზანგებსაც, რომელნიც აგრეთვე აფრიკაში ცხოვრობენ, ასე სწამთ,—როცა კაცს ცხვირს აცემინებს, ეს იმას ჰნიშნავს, რომ წინაპართა სული ეწვია ამ კაცსაო. ზანგებისა და ზულუსების მკითხავები ხშირად ცხვირს აცემინებენ მკითხაობის დროს და ამბობენ: „ბატონები“ გვეწვივნენო. „ბატონებს“ იქ ახსენებენ იმავე აზრით, როგორც ჩვენში, მაგალითად, წითელისა და სხვა ამ გვარ ავად-მყოფობის დროსა.

ამ სახით, ზულუ და ზანგი დარწმუნებულია, რომ ცხვირის დაცემინება უფრო სიკეთესა და ბედნიერებას მოასწავებსო.

ავსტრალიისა და ზოგიერთ სხვა ქვეყნების გარეული ხალხი სულ სხვა აზრისაა. ესენი ცხვირის დაცემინებას უფრო ცუდ ნიშნადა სთვლიან და ამიტომ, როცა, მაგალითად, ყმაწვილი ცხვირს აცემინებს, ამბობენ: ‹შორს შენგან!› ან კიდევ: „მზე იყოს შენი მხსნელი, დაგიფაროს ავის სულისაგან და მოგცეს ბედნიერება!“-ო.

ინდოელები ცხვირის დაცემინებაზე ეუბნებიან ერთმანეთს: „სიცოცხლე!“ ის, ვისაც ცხვირი დააცემინა, ეუბნება: „თქვენთან ნუ მომაკლოს!“ ინდოელებიც საზოგადოდ ცუდ ნიშნადა სთვლიან ცხვირის დაცემინებას; ამიტომ, თუ გზას ადგანან და ერთი ცხვირი მოუვიდათ, დარწმუნებულნი არიან, რომ რაიმე უბედურება შეემთხვევათ.

ებრაელები ცხვირის დაცემინებაზე ამბობენ: „სიცოცხლე ნუ მოგაკლოთ ღმერთმა!“,—თათრები: „დიდება ღმერთსა!“-ო.

როგორცა ვხედავთ, თითქმის მთელს ქვეყანაზე ყოფილა მოფენილი ეს ჩვეულება. ყველა მისდევს ჯერ დღესაც ამ ჩვეულებასა, თუმცა ძალიან ბევრს დავიწყებული-კი აქვს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ჩვეულებასა. ძველის-ძველად კი ამ ჩვეულებას მნიშვნელობა და აზრი ჰქონია და სწორედ ის აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც დღეს ზემოხსენებულს ზულუს და ზანგებსა სწამთ. ჩვენს წინაპარებს ძველის-ძველს დროს ისეთივე შეხედულობა, ისეთივე რწმენა უნდა ჰქონოდათ, როგორც დღეს ზულუს, ზანგებსდა ბევრს სხვა გარეულს ხალხსა აქვს. როგორი რწმენა აქვთ ამათ?

გარეულს ხალხს დღესაცა სწამს, რომ ადამიანი რომ კვდება, ამის სული ისევ ქვეყანაზედა ტრიალებს ცოცხლების შორის. ეს სული როგორც ადვილად გამოდის ადამიანის სხეულიდგან, ისევ ადვილად შედის. და აი როცა მიცვალებულის სული ცოცხალს ადამიანს ეწვევა, უთუოდ ცხვირს დააცემინებს, თითქოს ატყობინებს, რომ მე შენთანა ვარო. მიცვალებულის სული ზოგს ხალხს ავ სულად მიაჩნია, ზოგს კეთილად. ამიტომაც ცხვირის დაცემინება, ე. ი. ავისა თუ კეთილის სულის წვევა, ზოგს სიკეთის, ბედნიერების ნიშნად მიაჩნია, ზოგს ცუდის, უბედურების მომასწავებლად.

***

აი კიდევ ავიღოთ პირის მთქნარება. ჩვენში ეხლაც ბევრმა იცის, რომ დაამთქნარებს, უთუოდ პირზედ ხელს მიიფარებს, პირჯვარს გადისახავს და რაღაცა ლოცვასაც წაიტუტუნებს. რა აზრი აქვს ამ ჩვეულებასა?

როდესაც ინდოელი ამთქნარებს, უთუოდ ორი თითი უნდა მიიდოს პირზე და რომელისამე ღმერთის სახელი ახსენოს. სპარსელებსა სწამთ, რომ პირის მთქნარება ავის სულის საქმეაო. თათრებს რომ დაამთქნარებს, მარცხენა ხელს მიიფარებენ ხოლმე და ამბობენ: „ღმერთო, მიხსენ ეშმაკისაგან, წყეულ მაცდურისაგან“-ო. თათრებსა სწამთ, რომ ადამიანი პირს დაალებს თუ არა, მაშინვე ეშმაკები ჩაუძვრებიანო. ებრაელების ერთი მემატიანე პირდა-პირ გვარწმუნებს: მე თითონ ენახე ერთი ებრაელი, სახელად ელეაზარი, რომელიც ავის სულებით შეპყრობილს ავადმყოფს ასე არჩენდაო: ელეაზარს ერთი ბეჭედი ჰქონდა, ბეჭედზე მობმული იყო რაღაც მცენარის ფესვი, რომელსაც სოლომონ ბრძენი იხსენიებს, რომ რაღაცა სასწაულთმომქმედი ძალა აქვსო. აი ამ გვარ ბეჭედით ეზიდებოდა ელეაზარი მავნე სულებს ავადმყოფის ცხვირის ნესტოების გზითაო.

ერთის სიტყვით, პირის მთქნარებას თუ ცხვირის დაცემინებას როგორც ჩვენი წინაპარნი ძველის-ძველს დროებაში, ისე აწინდელი გარეული ხალხი ავ თუ კეთილ სულს აბრალებს, და ავის და კეთილის სულით ხომ, იმათის აზრით, მთელი ქვეყანა სავსეა. უწინ ფრანგებსა სწამდათ, რომ, როცა კაცი ამთქნარებს და ამასთან ცხვირსაც აცემინებს, ეგ იმის ნიშანია, რომ ამ კაცის გვამში ავ სულს გუნდად დაუბუდნია. ამ ავს სულებს შეუძლიანთ ადამიანი სრულიად აიტაცონ და სადმე გადაკარგონო. ამიტომ როდესაც კაცს ამთქნარებს და ცხვირს აცემინებს, უთუოდ უნდა ღვთის სახელი ახსენოს, რომ ეს უბედურება თავიდგან აიცდინოსო.

ჩვენ მოვიხსენეთ მხოლოდ ორი ჩვეულება, რომელსაც დღესაც ბევრი მტკიცედ ადგას, თუმცა ის აზრი, რომელსაც ეს ჩვეულება გამოუწვევია, დღეს აღარ გვახსოვს. ეს ჩვეულება, რომელიც ჩვენ დღეს მოვიყვანეთ, არავისთვის მავნებელი არ არის, მაგრამ არის ზოგი მავნებელი ჩვეულებაც, რომელიც ძველის დროიდგან დაგვრჩომია და თითქმის ჩვენ დრომდინაც მოუხწევია. ერთს ამ გვარს ჩვეულებას შემდეგს ფელეტონში განვიხილავთ.

დონ-იაგო

საქმელებსაც ჰხარშავენო, და ამ გვარი დუქნები იმავ წესით უნდა იხდიდნენ გადასახადს, როგორც ტრაქტირებიო. ამასთანავე გამგეობამ ისიც მოახსენა კრებას, რომ იმაზედ მეტი არ უნდა გადახდესთ ამ დუქნების პატრონებს, რამდენსაც ხაზინას აძლევენო; ამიტომაც ესეთი განაჩენი დაუდგენია გამგეობას: ლუდხანებს, სადაც კი საქმელებს ჰხარშვენ, დაედევასთ გადასახადი ხუთი თუმანი წელიწადში და ეს გადასახადი ამავე 1887 წელს მოიკრიბოსო.

საბჭომ ერთ-ხმად მიიღო გამგეობის აზრი.

ამის შემდეგ შეუდგნენ წყლის ხმარების წესების გარჩევას. საბჭომ დააწესა შემდეგი ფასები:

წყალი, რომელიც გაყვანილი იქნება სახლებში, მაგრამ წყლის-საზომი არ ექნება მოწყობილი სახლის პატრონს იმის შესატყობად, თუ რამდენი ვედრა წყალი იხარჯება:

1) თითო საცხოვრებელ ოთახზედ (ამ ანგარიშში სამზარეულოც შედის) ეღირება წელიწადში . . . . . . 2 მ. 75 კ.
2) ფეხის-ადგილზედ წელიწადში . . . . 4 „ — „
3) პისუარზედ (საშარდე) . . . . . . 2 „ — „
4) ვანაზედ . . . 10 „ — „
5) სამრეცხველო ოთახი, თუ სადგომში ათის თვალის ოთახის მეტი არ არის . . . . . . . 10 „ — „

თუ ოთახები საკუთრივ სახელმწიფოს რომელსამე დაწესებულებას უჭირავს, წყლისათვის არა გადახდება-რა სახლის პატრონს.

ათს ოთახზედ თუ ბევრია სახლში, თითო ოთახზედ გადახდებათ 1 მან. წელიწადში.

თუ წყალი მარტო ეზოში იქნება გაყვანილი, მაშინ ოთახების ანგარიშით გადახდებათ ფასი.

ამის გარდა შემდეგი ფასებია დადგენილი:

6) მსხვილ ოთხ-ფეხზედ 3 მ. — კ.
7) ეტლის თითო გოგორაზედ (თვალზედ) . . 1 „ 50 „
8) ერთ კვადრ. საჟ. მორწყვა ბაღისა და ეზოებისა . . . . . . — „ 10 „
9) ორანჟერებზედ . . — „ 80 „

წყლის საზომით ხარჯვა წყლისა:

ა) თუ სამს თვეში 5,000 ვედრამდე იხარჯება, ვედრაზედ . . . . . 1/4 კაპ.
ბ) ამაზედ მეტი თუ იხარჯება, ვედრაზედ . . . 1/5 „

ვისაც წყლის-საზომით უნდა წყლის ხარჯვა, ხვედრი ფასი წინ-და-წინვე უნდა შეიტანოს სამის თვისა; პირველს სამს თვეს იმდენის ვედრისა გამოერთმევა, რამდენიც გამოცხადებული ექმნება მთხოვნელს და ამის შემდეგ იმდენისას გამოართმევენ, რამდენსაც წყლის-საზომი უჩვენებს (წყლის-საზომის ნაჩვენებს სამს თვესა სწერენ); თუ ვინიცობაა წყლის-საზომი გაფუჭდა, იმ დროს განმაველობაში, სანამ შეაკეთებენ, დანახარჯს წყალს იმდენს იანგარიშებენ, რამდენიც წინა წელიწადში იმავ სამის თვის განმაველობაში იწერებოდა; პირველს წელიწადში კი იმდენს, რამდენიც წინა სამს თვესა. ესევე წესი იქნება იმ შემთხვევაშიაც, თუ რომ წყლის-საზომს გასაწმენდად ან შესაკეთებლად აიღებენ და სამაგიეროს არ დადგმენ.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მტკვარზედ ჩასასვლელი ქუჩები სრულებით უნდა გაუქმდესო. გამგეობის მოხსენებაში ამ საგნის შესახებ ის მოსაზრება იყო გამოთქმული სხვათა შორის, რომ ქალაქში წყლის გამოყვანით თუ უპირველესად არა, უმთავრესად მაინც ის განზრახვა არის, რომ მცხოვრებთ სუფთა და მარგებელი წყალი ეხმარნათო და არა მტკვრის წყალი, რომელიც დღეს ყოველ გვარის ბინძურობით ივსებაო. ამიტომაც წყლის-მილების გახსნისათანავე აუცილებლად უნდა გაუქმდეს ის ქუჩები, რომელნიც მტკვართან ჩასასვლელებიაო. საბჭომ დაადგინა გაუქმდეს შემდეგი მტკვარზედ ჩასასვლელი ქუჩები მტკვრის მარჯვენა ნაპირას: **ვანქის დიდი და პატარა ქუჩები, მუხრანისა, ეგზარხოსისა, ხაღათოვისა და მირზოევისა.**

ამით კრება გათავდა ღამის $11\frac{1}{2}$ საათზედ; კრებას 50 ხმოსანი დაესწრო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გილზაებს, ავღანის საქმეებს ჩაუფიქრებია და აუღელვებია ინგლისელები. ინგლისელები ხომ მოუსვენარნი არიან და გულ ხელ დაკრეფით სხდომა არ უყვართ, მეტადრე თუ საქმე ამათ ინტერესებს შეეხება. და აი ეხლაც დატრიალებულან და მხნედ შესდგომიან საქმესა.

გაზეთი „Новости“ ამის გამო აი რას ამბობს:

> ეჭვი აღარავისა აქვს და არც საიდუმლოა, რომ ინგლისი დიდს მონაწილეობას იღებს ავღანის საქმეში. რა მიმართულებას მიიღებს ეს საქმე და რისაგან რა გამოვა, წინადვე ძნელია ამის თქმა. ეს კი შეგვიძლიან გთქვათ, რომ რუსეთი ყურს ვერ მოუყრუებს ამ ამბავსა და უთუოდ გაერევა ამ საქმეში, თუ ინგლისელები საჭიროდ ჰხედვენ თავიანთ მომხრეთ და მეგობრებს ავღანისტანში შემწეობა აღმოუჩინონ, ნუ თუ რუსეთი კი ჩაჩუმდება და ხელს არ მისცემს იმ ავღანელებს, რომელთაც ასეთი იმედი აქვთ რუსეთისა, რომელთაც სწამთ რუსეთის სიძლიერე და თვალი რუსეთისკენ უჭირავთ, აქედგან მოელიან შემწეობას. მით უფრო საჭიროა, რუსეთმა ხმა ამოიღოს, რომ ავღანისა და ბოლგარიის საქმეს, ჰერათსა და სტამბოლს რაღაცა კავშირი აქვთ ერთმანერთში. მართალია, ყველა ეს საიდუმლოდ ინახება, მაგრამ ეჭვი-კი არ არის, რომ ამ ორის საქმის შორის უთუოდ არის კავშირიო.

ეჭვი არ არის, ინგლისელების ხელი სჩანს ავღანის არეულობაში. ინგლისელები ერთგულად აძლევენ მხარს თავის ერთგულს მომხრეს აბდურახმანსა და საქმესაც არიგებენ: გუშინდელის დეპეშიდგან უკვე ეცოდინებათ ჩვენს მკითხველებს, რომ აბდურახმანს გაუმარჯვნია და გილზაები დაუმარცხებია.

***

იმავე გაზეთს „Новости“-ში დაწვრილებით არის გარჩეული სამზღვარ-გარეთის პასპორტების საქმე. გაზეთი წინააღმდეგია იმ დიდის გარდასახადისა, რომელიც ამ პასპორტის ამღებს უნდა დაედოს. გაზეთს ბევრი საბუთი მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ახალი გარდასახადი მძიმე ტვირთად დააწვება უფრო ღარიბ ხალხსაო. ჩვენ მხოლოდ რამდენსამე საბუთს მოვიხსენიებთ. აი მაგალითად, მოზარდი, მოსწავლე ახალგაზდობა.

> რამდენი ახალგაზდაა, ამბობს გაზეთი, რომელთაც კარგი სწავლა მიუღიათ, მაგრამ სხვა-და-სხვა სნეულობის გამო რუსეთში სწავლა ვეღარ გაუგრძელებიათ. ესენი იძულებულნი არიან სამზღვარ-გარედ იცხოვრონ იმისთანა ადგილებში, სადაც ჰავა ისეთს დიდ ვნებას ვერ მოუტანს ამათს ჯანის-სიმრთელეს, როგორც რუსეთში. ბევრი ამათში ღარიბია და თავის ჯაფითა ცხოვრობს, მდიდარ რუსების ოჯახებში ყმაწვილებს ასწავლის. როგორ შეუძლონ ამათ პასპორტების ახალს გარდასახადსა. მაშ რა ჰქმან, სად იცხოვრონ? პიატიგორსკს, ყირიმს, ბათუმს, სუხუმში? რით იცხოვრონ, რა საქმე იშოვნონ რომ შიმშილით არ დაიხოცნენ? მარტო მდიდრებს თუ მიუწვდებათ ხელი, რომ ამ ადგილებში იცხოვრონ, თორემ ღარიბს სად შეუძლიან. მაშ რაღა ჰქნებათ?

ეს ერთი მაგალითიც კმარა. ან კი ბევრი ლაპარაკი ვისთვის არის საჭირო: — ვისაც სამზღვარ-გარედ გსურთ ცხოვრება, ამდენი და ამდენი უნდა გადიხადოთო და უნდა გადიხადონ კიდეცა.

## ვითომ უსაქმობის ბრალია?

ერთს საღამოს რაღაც ჩაფიქრებული ვიჯექ დერეფანში და გავყურებდი ალაზნის ახლად ამწვანებულს და ათას ფრად აჭრელებულს ველს. სწორედ რომ ედემის მგზავსია ალაზნის არე-მარე. მომხიბლა მთლად ბუნების სიმშვენიერემ და შორს, შორს სადღაც გამიტაცა... ვინ იცის, რა აზრი და ფიქრი არ მიტრიალებდა თავში. უცებ თარის ხმა მომესმა. ამას რომ არ გამოვეფხიზლებინე, იქნება დაუკრეფავშიაც გადავეყვანე სხვა-და-სხვა ფიქრებს. ჩემი მეზობელიც, როგორც ეტყობა, ახლად გაცოცხლებულ ბუნებას გამოეტყუა კარზედ. მეზობელი ტკბილად დაჰლილინებდა თარსა. თარის ხმამ და სიმღერამ მეც სიამოვნება აღმიძრეს და გული ამიძგერეს. კარგა ხანს მღეროდა და ვსტკბებოდით ორივე, —მომღერალიც და მეც, შორით მსმენელი...

მომღერალმა უცებ შესწყვიტა სიმღერაც და თარის ხმაც. დიდხანს გულის ყური ისევ მეზობლისკენ მქონდა მიქცეული, მაგრამ ამაოდ, ის ხმას აღარ იღებდა. მოვბრუნდი, გადავხედე ალაზნის ველს და რაღაც ნაღველის ნისლი გადამეფარა გულზე. მეტადრე ერთმა სიმღერამ გული ძრიელ დიმიდაღა და მწარე ფიქრებმა გამიტაცეს. სევდამ შემიპყრო და დარდს მიმცა... მაგრამ აკი ჩემს ბედზე ბიჭმა წერილი მომიტანა. ძრიელ გამიხარდა, ცოტაც იყო გავერთობოდი და სევდას გულიდგან გადავიყრიდი. საჩქაროდ გავხსენ წერილი და ჯერ ბოლოს დავხედე, რომ შემეტყო ვისგან იყო მოწერილი.

წარმოიდგინეთ, ჩემს ოთხის წლის უნახავს მეგობარს მოვეგონებივარ. მიამა, წერილი საჩქაროდ გადავიკითხე. გადავიკითხე ერთხელ, გადავიკითხე მეორედ, მესამედ და სწორედ მოგახსენოთ, სიხარული ისევ დარდად გადამექცა. ჩემი მეგობარი იმისთანა ამბებსა მწერდა ჩვენის ქვეყნის ერთის პატარა ქალაქიდგან, რომ მე სრულიად არა მჯერა დღესაც, თუ ეს წერილი მიუდგომლად არის ნაწერი. მართალია, მეგობარი მარწმუნებს, რომ ყველა ეს არა-სასიამოვნო ამბები უსაქმობის ბრალია და არა სხვისა რისიმე, მაგრამ მე მაინც არა მჯერა. არა მჯერა და ვგონებ, რომ უსაქმობის გარდა სხვა რაღაც მიზეზიც უსათუოდ უნდა იყოს დაფარული. რა მიზეზი უნდა იყოს? ვინ იცის, მიზეზი ბევრია, სად ჩამოსთვლი ყველას! სჯობს, თვითონ ჩემის მეგობრის წერილს დავუბრუნდეთ, იქნება მკითხველი თითონვე მიჰხვდეს. აი თვით წერილიცა:

**დაუვიწყარო ა—ს!**

ვიღებ კალამს ხელში, მაგრამ ხელი როგორღაც არ მომდევს! არ ვიცი, საიდამ და როგორ დავიწყო, რომ რიგიანი სურათი დაგიხატო იმ ქალაქისა (მცხოვრებლებითურთ), რომელიც მე ბედისაგან წილად მხვდა საცხოვრებლად. აი კიდევ რა მაფიქრებს და მიძნელებს საქმეს: სულს ქვეშ უნდა ვსთქვა, არც კი ღირს იმათა, რომ მეცა და შენც დრო დავკარგოთ ამ გვარის ქალაქის და მის მცხოვრებთ ყოფა-ცხოვრების წერასა და კითხვაზე. მაგრამ რას იზამ; პირობა მოგეცი და პირობის გატეხა არაფერი კაი კაცობაა. მეც პირობის კაცი ვარ და, ავია თუ კარგი, პირობა უნდა ავასრულო.

როგორც იცი, აგერ ოთხი წელიწადია, რაც ვცხოვრობ ჩვენის ქვეყნის ერთს პაწია ქალაქში. ბუნებისაგან ქალაქი დაჩაგრული არ არის, პირ-იქით, კარგი, მშვენიერი მდებარეობაცა აქვს. მართალია, ცოტა ოკრო-ბოკრო, ოღრო-ჩოღრო ქუჩა-ეზოები მიუცია ღმერთს ამ ქალაქისათვის, მაგრამ ამასაც თავისი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გაიხსენე ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრება. ამის მიხედვით, ეს პაწია ქალაქი მართლა რომ კარგს ალაგას არის გაშენებული, ასე რომ მაშინდელი მტერი მაგრე რიგად ადვილად ვერ მიუვიდოდა და ვერ აიკლებდა ამ ქალაქსა. ახლა, როცა ის დრო შორს არის ჩვენზე, მგონი, საჭირო აღარ იყოს ასეთის გზების შენახვა... მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა. ამიტომ მეც თავს დავანებებ ამ საგანს და ამ ქალაქის ციხე-ბურჯების აღწერას. უფრო საყურადღებოა, ჩემის აზრით, იმის განხილვა: სხვა რაიმე ნიშან-წყალი ეტყობა, ეხლანდელ დროის მიხედვით, ამ ქალაქსა, თუ არა? ამის პასუხს ადამიანი უფრო ჩქარა შეიტყობს, ქალაქის ცხოვრებას, მის ავლა-დიდებას რომ დაუკვირდეს. ამიტომ სჯობს, პირ-და-პირ ამ ქალაქის ყოფა-ცხოვრებას გადავავლოთ თვალი.

ამ კურთხეულ ქალაქს, როგორც ყველგან, ჰყავს სამ გვარი მცხოვრებნი. დიდნი ანუ „განათლებულნი“, მათზე მომდევნო ვაჭარ-მოქალაქეები და სულ მცირე მუშა ხალხი. ამ ხელად მარტო პირველზედ მინდა მოგელაპარაკო; ამ რიგი ხალხი კარგად მყავს გაცნობილი, რადგან მეც ამათს წრეში ვითვლები. აქაურს „განათლებულებს“ შეადგენენ სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი, რომელნიც უფრო მოსულები არიან! მკვიდრნი-კი მკვიდრად იცავენ წინა-პართა ხელობასა და ალებ-მიცემობას... «დიდთა» შორის არიან ახალგაზდა „განათლებულნიც“. ვამბობ „ახალგაზდა“-მეთქი და თან მრცხვენიან, მრცხვენიან, იმიტომ-რომ ამ სახელს ატარებენ: სახელი ერთია, და სახრავი-კი სულ სხვაა... მაგრამ რას იზამ, ხნით ხომ ახალგაზდები არიან, თუ სხვით არაფრით, —და განა ეს კი არა კმარა... ღვთის წინაშე, არც-კი ვამტყუნებ! რა მაგალითიც თვალ-წინა აქვთ მუდამ დღე, ესენიც იმ გვარადვე იქცევიან. როგორიც მღვდელი, ისეთივე ერიო. უფროსნი დალოცვილ „შკაფ“-ქაღალდების გარეითად არას ჰხედვენ ცხოვრებაში; ამათ მიხედვით მცირედნიც უდროვოდ არიან ჩაბთქულნი სამწერლო ქაღალდის მორევში და თავის ჰკუაგონების სიმახვილე-გამჭრიახობას მას ახმარებენ და ალევენ...

არ იფიქრო-კი, ვითომ აქაურ „დიდებს“, „განათლებულებს“ გართობა არ უყვარდეთ! არა, ეს ცილის-წამება იქმნებოდა.

უყვართ, ძალიან უყვართ, ტყუილის თქმა ცოდვაა... დაილოცოს ბანქო! განა ამას ეღალატება? დიახ, არა ჰღალატობს ქაღალდის თამაშობას უფროსი და იმის მიხედვით მცირეც. ასე და ამ რიგად ღამდება და თენდება ყოველ წლივ 365 დღე: დილის ცხრა საათიდამ—ოთხს საათამდე კალამის ვარჯიშობა, შემდეგ მცირე განსვენება და საღამოს 8 **საათიდამ** დილის **ოთხს** საათამდე ბანქოს თამაში... სხვა?.. ყოველთვის მე-20 რიცხვი კარგად ახსოვთ, ქაღალდის თამაშობაშიაც არ ავიწყდებათ... სხვა? საქვეყნო, საზოგადო საქმეები?.. ამაზედ არ ძალ-მიძს ლაპარაკი და ამიტომ ვამჯობინებ აქ შევსწყვიტო წერილიცა... მაგრამ... მაპატიე-კი, და ორიოდე სიტყვა კიდევ აქაურ დედათა სქესზედაც! რაო?! გიკვირს განა, რომ ვკადნიერდები და დედათა-სქესზე ხმას ვიღებ? ძნელია, მართალია, ამათზე რისიმე თქმა, მაგრამ ეჰ, რაც მომივა, მომივიდეს, მაინც ვბედავ ლაპარაკსა.

ჩვენთა «დედათა» უმთავრესი საქმე და მოვალეობა არის: «ლოტო». მართალია, ბანქოსაც ეწყობიან, მაგრამ უფრო იშვიათად. ეს ორი უპირველესი და უსაყვარელესი საგანი მათი სიცოცხლის ნუგეში არის... შენც იცი, რა არის **ჭორი**. საშინლად უყვართ ეს ხილი აქ და საკვირველია, რომ არცა ჰბეზრდებათ. სწორედ ბედნიერება იქნებოდა, რომ შინაური საქმეებიც იმ გვარადვე შეჰყვარებოდათ, როგორც ჭორი უყვართ. ოჰ, რა ბედნიერებას მოუტანდნენ თავიანთ თავსაც, ოჯახსაც და ჩვენც. „ჩვენცაო“—ვამბობ იმიტომ, რომ ხშირად, საკუთარი მასალა რომ შემოაკლდებათ, ჩვენც გადმოგვწვდებიან ხოლმე და ისეთს ჭორების ბადეში გაგვაბმენ, რომ თავსა და ბედს იწყევლი, თუმცა, გეფიცები, არც სულით და არც ხორცით არაფრის დანაშაულობა არ მიგიძღვის. არ ვიცი შენ რას იტყვი, და მე კი მგონია, რომ ყველა ამის ბრალი უსაქმობა უნდა იყოს. ვითომ?! მაგრამ მეც რას მოგაწყინე თავი! რაც უნდა იყოს, წყალმა რიყოს... დრო გავათავო, თორემ მეც ამდენს ყბედობას უსაქმობაში ჩამომართმევ... მშვიდობით! შენი მარადის ა—სი.

ი. კახელი

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ბრიუსელის გაზეთი „Nord“-ი ამბობს, რომ ბოლგარიის საქმე ჯერ დიდხანს არ გადასწყდება, ხოლო ამ ჟამად ისეა შეზღუდული, რომ ამ საქმის გამო ევროპის მშვიდობიანობას არავითარი შიში და საფრთხე არ მოელისო.

— ოსმალეთი ამ ცოტას ხანში დაურიგებს დიდთა სახელმწიფოთა საცირკულიარო ნოტას ბოლგარიის საქმის გამო, რომელშიაც გამოცხადებული იქმნება, რომ ბოლგარიის გამწვავებულის საქმის დასაბოლოვებლად და გარდასაწ-

ყველაზედ საჭიროა, რომ სარეგენტო მთავრობა გავაუქმოთ, სამსახურიდგან გადავაყენოთ, ახალი დიდი საერო კრება მოვიწვიოთ და კანდიდატი ამოვარჩიოთ ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვისაო.

— გაზეთი „Pesther Lloyd"-ი ამბობს: ბოლგარიის რეგენტები დარწმუნდნენ, რომ თავის ნებით ვერ ამოირჩევენ ბოლგარიის ტახტისათვის მთავრად ვინც უნდათ, თუ ყველა დიდნი სახელმწიფონი არ დასთანხმდნენ და ისიც კარგად იციან, რომ ყველა დიდთა სახელმწიფოთ ვერ დაიყოლიებენ თავის სურვილის ასასრულებლადაო. ასე რომ, როგორც სჩანს, ვერც მთავარს ამოირჩევენ და, რასაკვირველია, ამ მთავრის ამოსარჩევად ვერც დიდს საერო კრებას მოიწვევენო. ამიტომ განზრახვა აქვთ დიდი საერო კრება ეხლა კი არა, თიბათვესა და ან მკათათვეს მოიწვიონ და სთხოვონ, რომ ეხლანდელი სარეგენტო მთავრობა ხელ-ახლად ამორჩეულ იქმნას მთავრობადვე და ამას გარდა დამტკიცებულიც იყოს დიდის საერო კრების მიერო. ეს სარეგენტო მთავრობის განზრახვა გაზეთს ძალიან მოსწონს და ამბობს, რომ რადგან რეგენტების უფლების დიდის საერო კრების მიერ დამტკიცება შინაური საქმეა, ამიტომ, არა გვგონია, რომ დიდნი სახელმწიფონი ჩაერივნენ ამ საქმეში და ხმა ამოიღონო. ხოლო თუ გაზეთ „Francfurter Zeitung"-ის სტამბოლელს კორრესპონდენტს დავუჯერებთ, სტამბოლში ამ საქმეს სულ სხვა თვალით უყურებენ. კორრესპონდენტი დეპეშით აუწყებს ამ გაზეთს, რომ რადგან რუსეთი თავის სიტყვაზედვე ჰსდგას, მოლოდინის პოლიტიკას თავს არ ანებებს იმ დრომდე, ვიდრე სარეგენტო მთავრობა სამსახურიდგან არ იქმნება გადაყენებულიო, ამიტომ წარსულს კვირას ჲილდიზ-კიოსკში გარდასწყვიტეს, რომ სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას სთხოვონ, სამსახურიდგან გადადექიო.

~~~

**გერმანია.** ხმა გავრცელებულა, რომ გერმანიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი 7-ს აპრილს ძალიან ავად გახდაო.

— „Journal d'Alsace"-ი ამბობს, რომ სამინისტრომ შემდეგი გარდაწყვეტილებანი დაადგინა შესახებ იმ საფრანგეთის ქვეშევრდომთა, რომელნიც ელზას-ლოტარინგიაში მოდიანო: „არც ერთს საფრანგეთის ქვეშევრდომს, სამხედრო წოდების კაცი იქნება, თუ საერო კაცი ეს ქვეშევრდომი, ნება არა აქვს თავისით იცხოვროს ელზას-ლოტარინგიაში, თუ პოლიციის უფროსისაგან ნება-რთვა არ ექმნება აქ ცხოვრებისაო. ეს კანონი არ შეეხება იმ ფრანგებს, რომელნიც სამუდამოდ სცხოვრობენ ელზას-ლოტარინგიაში. პოლიციის უფროსსაც არ შეუძლიან, რომ ელზას-ლოტარინგიაში მოსულს საფრანგეთის ქვეშევრდომს ოთხს თვეზე მეტის ცხოვრების ნება მისცესო".

~~~

**ავღანისტანი.** ოსტ-ინდიის მთავრობა ძალიან აღშფოთებულია იმის გამო, რომ ნურ-მაჰმედი, ვალი-მაჰმედ-ხანის შვილი, რომელიც ინდუსტანში ცხოვრებდა აბდურახმან-ხანის ტახტზე აღსვლის დროს, სადღაც მიეფარა და აღარა სჩანსო. ყველა იმ აზრისაა, რომ უეჭველია ნურ-მაჰმედი ამ ჟამად გილზაებთა შორის იმყოფება და აბდურახმან-ხანის წინააღმდეგ იბრძვისო.

~~~

**ამერიკა.** გაზეთი „მუბაშირი", რომელიც ალექსანდრიაში იბეჭდება, ამბობს, რომ მეწამულის ზღვის დასავლეთ ნაპირებზე ახალი მუსულმანთა სახელმწიფო შემდგარა; უეჭველია, ამ სახელმწიფოს ჩქარა დაუმეგობრდებიან ყველა ის ევროპიის ერნი, რომელნიც ნაოსნობას მისდევენ, და შეიძლება სულთანიცა და ხედივიც დაუმეგობრდნენო. ის ტომნი, რომელნიც მდ. ატბარის ახლო-მახლო სცხოვრობენ და რომელთ შორისაც ყველაზედ ძლიერ და მრავალ-რიცხოვან ტომად ბენი-ამერის ტომი ითვლება, გადუდგნენ ხალიფა აბდულას ხართუმში, შეიკრიბნენ ერთის შეიხისას კასსალაში და სულთანად ამოირჩიეს ბენ-ამერების შეიხის ძმა, მაჰმედ-აბუ-ელ-ხოჯაო. ახალმა სულთანმა თავის საცხოვრებელ ადგილად კასსალი ამოირჩია და ორი მხედართ-უფროსი დაჰნიშნა თავის ჯარისათვისაო; ამას გარდა ხუთი მთავარ-მართებელი ახლო-მახლო ადგილებში გაამწესაო. ამის გამო მახდების სახელმწიფოდგან მეწამულის ზღვის ნაპირებამდე ახალი სახელმწიფო შესდგა, რომელიც ამ ცოტა ხანში იმ ადგილებსაც დაიჭერს, რომელიც კასსალის ჩრდილოეთით იმყოფებაო. ახალის სულთანის ჯარი რიცხვით 8,000-მდე იქმნება და კარგად არის შეიარაღებული და საომრად მომზადებულიო.

## გასართობი

**უკანასკნელი სიმღერა სასიკვდილოდ გამზადებულისა.** ამერიკის ერთს ქალაქში, ნიუ-ალბანში, ერთის ავაზაკისათვის სიკვდილით დასჯა გადუწყვეტიათ. დასჯის რამდენისამე წუთის წინად დასასჯელს უთხოვნია, რომ ვიდრე დამსჯიდეთ, ნება მომეცით, აქ შეკრებილის ხალხის წინაშე ერთი სიმღერა ვსთქვაო. სიმღერის თქმის ნება მიუციათ. დასჯაზედ დიდ ძალი ხალხი იყო თურმე შეკრებილი. სამი მღვდელი ავიდნენ თურმე დამნაშავესთან ერთად სახრჩობელაზე. მღვდელმა ლაუკერმა ლოცვა სთქვა, შემდეგ სამთავე მღვდელმა იგალობეს „მიწყალე მე უფალო!" როდესაც მღვდლებმა გალობა დაასრულეს, დასასჯელმა ფრანცისკ ლორენსმა დაიწყო და იმღერა: „იორდანის პირად სიარულის დროს"... სიმღერა რომ გაათავა ლორენსმა, მღვდლებს უნდოდათ, განშორებოდნენ, მაგრამ დამნაშავემა სთხოვა, ცოტა კიდევ მოითმინეთო და დაიწყო მეორე სიმღერა: „ბნელი იყო ღამე და ცივი—დედა-მიწა". ამასობაში ლორენსის სიმღერამ მაყურებელნი გაიტაცა თურმე, ერთი მეორეზედ ახლო-და-ახლო მიუახლოვდნენ სახრჩობელას და შემდეგ ზედ სახრჩობელაზედაც ავიდნენ: ყველამ თანაგრძნობით ხელი ჩამოართვა თურმე სიკვდილით დასასჯელს და რამდენიმე სანუგეშო სიტყვა უთხრა. ამ დროს ლორენსმა გრძელი სიტყვა სთქვა და გამოაცხადა, რომ მოსამართლენი ძალიან კარგად მექცეოდნენ ციხეში დაპატიმრების დროს, თუმცა სიკვდილით დასასჯელი ვიყავიო და რომ ყველაზედ ბედნიერნი წუთნი ჩემს სიცოცხლეში ციხეში გავატარეო. როცა ყველას გამოეთხოვა დამნაშავე, ცრემლ-მორეულმა მოსამართლემ ბრძანება გასცა და სულ რამდენისამე წუთის შემდეგ ლორენსი სრულიად გამოეთხოვა ამ ქვეყანას.

\*\*

**შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსი.** ორი ნაცნობი კაცი შეხვდა ერთმანერთს.

— არა, კაცო და, როგორ არა გრცხვენიან, რომ მაგისთანა გახუნებულისა და დაძენძილის ქუდით დადიხარ და დასეირნობ.

— შენ არ იცი, რა მიზეზითაც ჩავდივარ ამას. ამ ქუდში მთელი პოლიტიკაა. ჩემმა ცოლმა გამომიცხადა, რომ იმ დრომდე არ გავალ საზოგადოებაში შენთან ერთადა, ვიდრე მაგ ქუდს არ მოიხდი თავიდგანაო.

# დეპეშა

14 აპრილი

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა საჩივარი მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორისა იმ გარდაწყვეტილების თაობაზედ, რომელიც ამ პალატამ დაადგინა და რომლის ძალითაც გაამართლა ტულის ოლქის სასამართლოს წევრნი ლადიჟსკი, ბაბინი და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე რაევსკი. ყველა ამათ ჰბრალდებოდათ, რომ უკანონოდ გადუწყვიტეს დამნაშავეს ციმბირში გაგზავნა იმის მაგიერ, რომ სატუსაღო როტებში გაგზავნა გადაეწყვიტათ. სენატმა გადასწყვიტა ლადიჟსკისა და ბაბინს საყვედური გამოეცხადოთ, ხოლო რაევსკის შენიშვნა მიეცესო.

**სოფია.** ფულის სესხება ინგლისელებისაგან ვეღარ მოხერხდა.

პეტერბურგის ბირჟა, 14-ს აპრილს
ფასები:

| | მყიდველთა | გამყიდველთა | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — » | — » | 1 37 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . . . . | — » | — » | 257¼ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 237½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

აპრილი 30 დღით არის.

**16 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწულ-მოწამე. აღაპია, ირინა და სხვათა. კათოლიკ. კალისტუსტისა, ლიამბერტისა და იულიასი. მუსულ. მე-6 რიცხვი შაბანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—1, ჩადის 6—55.

**17 დღე პარასკევი.** ეპისკ. სვიმეონისა კათოლ. რუდოლფისა და ფორტუნატისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 5—0, ჩადის 6—56.

**18 დღე შაბათი.** ღირს. იოანესი და კოსმასი. კათოლ. აპოლონისა და ნაპოლეგნისა. მუსულმ. მე-8 დღე შაბანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარ. შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 6—57. მთვარე 8 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 |
| › 2 › | 2½ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | 3½ › |
| › › 3 › | 3 › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 › |
| მე-3 — . . . | 3½ › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 › |
| › 2 › | 7 › |
| სუკი. . . . | 14 › |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › › |
| › 2 › | › › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

**ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს** ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 §-ის ძალით **2 მაისს** ამა **1887 წ., დილის 10 საათზე,** დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულ სახლში, სასახლის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1886 წ. განმავლობაში.

2) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზედ 1887 წლისათვის.

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა საერთო საჭიროებაზე.

4) არჩევანი ზედამხედველის კომიტეტის ერთის წევრისა ა. ს. გამრეკელის ნაცვლად.

5) არჩევანი მმართველობის ერთის წევრისა ნაცვლად თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობას, და იმის კანდიდატისა.

6) არჩევანი დამფასებელის კომისიის ორის წევრისა ნაცვლად თთ. რ. ა. ჩოლოყაშვილისა და ბ. ი. რატიევისა და ამათის კანდიდატებისა.

7) მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც შედგენილ იქმნა საერთო კრების მიერ და მინდობილი ჰქონდა შეედგინა პროექტი, თუ როგორ უფრო კარგი იქმნება, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდება შეიცვალოს. (6—4)

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

**ძმათა ასლანიდებისა.**

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გამჭრელთა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ექნებით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და საზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბ-ნთ გამჭრელთ იმდენი დაუთმობთ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—11)

იყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, ქუთაისში ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა,

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

**„მოლაღური"**

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

იყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კიკერძო კაცებთან. (10—9)


Дов. ценз. Тиф. 15 апрѣля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე
~~~